

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დადგენილება №26

2015 წლის 18 მარტი
ქ. ბათუმი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოკლევადიანი
საგანმანათლებლო პროგრამის „ინკლუზიური განათლება“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის
პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და განათლების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის ოქმის (№5, 23.02.2015) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა
საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოკლევადიანი
საგანმანათლებლო პროგრამა „ინკლუზიური განათლება“;
2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

გურამ ჩაგანავა



განხილულია: ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის
 საბჭოს სხდომაზე. დადგენილება
 №5.23.02....., 2015 წ.

დამტკიცებულია:
 ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.
 დადგენილება № 26 18. 03. 2015წ

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

ინფორმაცია იურიდიული პირის ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის შესახებ

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადი მონაცემები პროგრამის შესახებ

| | |
|------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა: „ინკლუზიური განათლება“ |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | |
| მისამართი | ბათუმი. ნინოშვილის ქ. #35 |
| საკონტაქტო პირი | თემურ ავალიანი - ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორი |
| ელექტრონული ფოსტა | temuriavaliani@mail.ru |
| საკონტაქტო ტელეფონი | 599-940-311 |

| | |
|------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პროგრამის მიზანი | მსმენელმა პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ შეძლოს სკოლამდელი ასაკის/საკოლო ასაკის შშმ და სსსმ პირთა იდენტიფიცირება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა და განხორციელება; შეისწავლოს თანამედროვე მიდგომები და მეთოდები, რაც ხელს უწყობს შშმ და სსსმ პირთა განათლებას, რთული ქცევის შემცირებას და პოზიტიური ქცევის ფორმირებას; სკოლამდელი ასაკის (საკოლო ასაკის) სსსმ ბავშვებთან სწავლისა და მუშაობის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას, შედეგების შეფასებას. |
| პროგრამის შედეგი | პირი, რომელიც წარმატებით გაივლის პროგრამას, შეძლებს: <ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი ასაკის/საკოლო ასაკის და სსსმ და შშმ აღსაზრდელთა ინკლუზიური განათლებისათვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნას; |

| | |
|-----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | <ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი ასაკის/სასკოლო ასაკის და სსსმ და შშმ აღსაზრდელთა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული კომპლექსური სიტუაციების ანალიზს და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას; • სპეციალური საჭიროებების საკითხებზე კომუნიკაციას კოლეგებთან და მშობლებთან, სხვისი აზრის მოსმენას და გათვალისწინებას; • ინდივიდუალური ჩართულობის განვითარების პროგრამის შედგენას და მონიტორინგს; • სწავლების სტრატეგიების გამოყენებას სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვებთან; • სკოლამდელი ასაკის/სასკოლო ასაკის და სსსმ და შშმ აღსაზრდელთა რთული ქცევის მართვას |
| <p>პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები, რომლებსაც მოიცავს პროგრამა</p> | <p>პროგრამა შეგება ორი მოდულისა და მათში შემავალი შემდეგი თემებისაგან:</p> <p>მოდული № 1: „ინკლუზიური განათლება სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე“</p> <p>მოდული მოიცავს ექვს ბლოკად გაერთიანებულ შემდეგ თემატიკას:</p> <p>1. პრობლემის იდენტიფიცირება, სასწავლო სტრატეგიები</p> <p>1.1. სკოლამდელი ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვთა შეფასება, ბავშვის საჭიროებების დადგენა; სასწავლო სტრატეგიები: - (<i>მარინე გურგენიძე, ნანი მამულაძე</i>) (8 სთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • შშმ და სსსმ პირთა კლასიფიცირება; • სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები; • ყურადღების დეფიციტი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები; • ჰიპერაქტიურობის სინდრომი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები; • ცერებრული დამბლა; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები ; • მხედველობის პრობლემის მქონე ბავშვები; პრობლემის იდენტიფიცირება; |

საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;

- სმენის პრობლემის მქონე ბავშვები; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- აუტიზმი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები

1.2. მეტყველების გავრცელებული პრობლემები სკოლამდელ ასაკში, სწავლების სტრატეგიები - *(ქეთევან შოთაძე, მადონა მიქელაძე) (2 სთ)*

- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მეტყველების პრობლემის ამოცნობა;
- სწავლების სტრატეგიების შერჩევა მეტყველების პრობლემების დროს

2. ფიზიკური განვითარება

2.1. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვთა ადაპტური ფიზიკური აღზრდა - *(ბესიკ ციციავი, ლელა თავდგირიძე) (2 სთ)*

- მოძრაობითი უნარ-ჩვევების განვითარება; ფიზიკური აქტივობა და ადაპტური ფიზიკური აღზრდა;
- ადაპტური მოძრაობითი რეკრიაციის საშუალებები;
- ადაპტური ფიზიკური აქტივობის ძირითადი სახეები;
- ადაპტური ფიზიკური აღზრდის ასპექტები

3. ბავშვთა განვითარების მასტიმულირებელი თამაშები, აქტივობები

3.1. სკოლამდელი ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვთა განვითარების მასტიმულირებელი თამაშები, აქტივობები და სავარჯიშოები: - *(ნატო შეროზია; გუგული ლოლობერიძე);(3 სთ)*

- წერის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისათვის;
- თამაშები მეტყველების და თხრობის უნარის განვითარებისთვის;
- მათემატიკური უნარები და რეკომენდაციები მათი განვითარებისათვის;
- მოძრავი თამაში, მოთელვა; თამაშის როლი ბავშვის განვითარებაში;
- თამაშის ფორმები ურთიერთობები თამაშისას

4. სოციალურ-ემოციური განვითარება

4.1. ქცევის პრობლემები სკოლამდელ ასაკში: - *(ნანა მაკარაძე, მარინე გურგენიძე) (5 სთ);*

- სკოლამდელ ასაკში პრობლემური ქცევის გამოვლინებები, მათზე რეაგირების გზები და საშუალებები; პრევენცია;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აგრესიული ქცევის მართვა და პრევენცია -

5. ტექნოლოგიური მიღწევები ინკლუზიურ განათლებაში:

5.1. ტექნოლოგიური საშუალებები სკოლამდელი ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვებთან მუშაობისას: - *(დარეჯან გელაძე, გული შერვაშიძე) (5 სთ)*

- ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი (დამხმარე) ტექნიკური საშუალებები;
- ისტ როლი ინკლუზიურ განათლებაში;
- კომპიუტერული ონლაინ თამაშის (თავსატეხი, სათავგადასავლო, თამაში) როლი ბავშვის განვითარებაში;
- ცეკვის, მუსიკის, და სხვადასხვა უნარჩვევების განვითარება მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით;
- დისტანციური სწავლების მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებაში

6. ინდივიდუალური ჩარევის პროგრამის შემუშავება:

6.1. ინდივიდუალური ჩარევის გეგმა (იჩგ) - *(ლელა თავდგირიძე, ნანი მამულაძე) (5 სთ)*

- ინკლუზიური განათლების არსი;
- სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა საბავშვო ბაღებში და ინდივიდუალური ჩარევის გეგმა;

იჩგ-ს შემუშავება.

მოდული № 2: „ინკლუზიური განათლება სასკოლო საფეხურზე“

მოდული მოიცავს ექვს ბლოკად გაერთიანებულ შემდეგ თემატიკას:

1. პრობლემის იდენტიფიცირება, სასწავლო სტრატეგიები

1.1. სასკოლო ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვთა შეფასება, ბავშვის საჭიროებების დადგენა; სასწავლო სტრატეგიები: - *(მარინე გურგენიძე, ნანი მამულაძე) (8 სთ)*

- შშმ და სსსმ პირთა კლასიფიცირება;

- სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- ყურადღების დეფიციტი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- ჰიპერაქტიურობის სინდრომი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- ცერებრული დამბლა; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები ;
- მხედველობის პრობლემის მქონე ბავშვები; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- სმენის პრობლემის მქონე ბავშვები; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები;
- აუტიზმი; პრობლემის იდენტიფიცირება; საჭიროებების განსაზღვრა და სწავლების სტრატეგიები

1.2. მეტყველების გავრცელებული პრობლემები სასკოლო ასაკში, სწავლების სტრატეგიები - *(ქეთევან შოთაძე, მადონა მიქელაძე) (2 სთ)*

- სასკოლო ასაკის ბავშვთა მეტყველების პრობლემის ამოცნობა;
- სწავლების სტრატეგიების შერჩევა მეტყველების პრობლემების დროს

2. ფიზიკური განვითარება

2.1. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე სასკოლო ასაკის ბავშვთა ადაპტური ფიზიკური აღზრდა - *(ბესიკ ციციანი, ლელა თავდგირიძე) (2 სთ)*

- მოძრაობითი უნარ-ჩვევების განვითარება; ფიზიკური აქტივობა და ადაპტური ფიზიკური აღზრდა;
- ადაპტური მოძრაობითი რეკრიაციის საშუალებები;
- ადაპტური ფიზიკური აქტივობის ძირითადი სახეები;
- ადაპტური ფიზიკური აღზრდის ასპექტები

3. ტექნოლოგიური მიღწევები ინკლუზიურ განათლებაში:

3.1. ტექნოლოგიური საშუალებები სკოლამდელი ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე

ბავშვებთან მუშაობისას: - *(დარეჯან გელაძე, გული შერვაშიძე) (3 სთ)*

- ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი (დამხმარე) ტექნიკური საშუალებები;
- ისტ როლი ინკლუზიურ განათლებაში;
- კომპიუტერული ონლაინ თამაშის (თავსატეხი, სათავგადასავლო, თამაში) როლი ბავშვის განვითარებაში;
- ცეკვის, მუსიკის, და სხვადასხვა უნარჩვევების განვითარება მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით;
- დისტანციური სწავლების მნიშვნელობა ინკლუზიურ განათლებაში

4. ბავშვთა განვითარების მასტიმულირებელი თამაშები, აქტივობები

4.1. სასკოლო ასაკის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვთა განვითარების მასტიმულირებელი თამაშები, აქტივობები და სავარჯიშოები: - *(ნატო შეროზია; გუგული დოღობერიძე);(5 სთ)*

- წერის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისათვის;
- თამაშები მეტყველების და თხრობის უნარის განვითარებისთვის;
- მათემატიკური უნარები და რეკომენდაციები მათი განვითარებისათვის;
- მოძრავი თამაში, მოთელვა; თამაშის როლი ბავშვის განვითარებაში;
- თამაშის ფორმები ურთიერთობები თამაშისას

5. სოციალურ-ემოციური განვითარება

5.1. ქცევის პრობლემები სასკოლო ასაკში: - *(ნანა მაკარაძე, მარინე გურგენიძე) (5 სთ);*

- სასკოლო ასაკში პრობლემური ქცევის გამოვლინებები, მათზე რეაგირების გზები და საშუალებები; პრევენცია;
- სასკოლო ასაკის ბავშვთა აგრესიული ქცევის მართვა და პრევენცია

6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

6.1. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) - *(ლელა თავდგირიძე, ნანი მამულაძე) (5 სთ)*

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| | <ul style="list-style-type: none"> • ინკლუზიური განათლების არსი; • ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; • ისგ-ს შემუშავება. |
| პროგრამის ხელმძღვანელები: | ლელა თავდგირიძე, მარინე გურგენიძე, ნანი მამულაძე |
| პროგრამის შემუშავების თარიღი | 2015 წლის მარტი |
| პროგრამის მოცულობა ECTS-კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით | პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან, თითოეული მოდული ორკრედიტიანია სულ 50 საათი, საკონტაქტო 30 საათი, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 20 სთ |
| პროგრამაში შემავალი მოდულების სახელწოდება კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით | <p>მოდული № 1: „ინკლუზიური განათლება სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე“ მოდული № 2: „ინკლუზიური განათლება სასკოლო საფეხურზე“</p> <p>თითოეული მოდული 2 ECTS კრედიტის მოცულობისაა (50 საათი, აქედან 30 სატრენინგო საათი, 5 საათი კონსულტაციისა და ტესტირებისათვის; 15 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის). შესაბამისად, 1 კრედიტის მოცულობაა 25 საათი, მათ შორის 15 საათი სატრენინგო; 2 საათი კონსულტაციისა და ტესტირებისათვის, 8 საათი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის.</p> |
| პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში | 6 სატრენინგო დღე (დღეში 5 საათი შესვენების გამოკლებით) 2 საკონსულტაციო დღე (დღეში 2 საათი) და 1 საგამოცდო დღე (1 საათი). სამუშაო დღეებია როგორც შაბათი და კვირა, ისე დანარჩენი დღეები. დღეების გადანაწილება შესაძლებელია მსმენელთა მოთხოვნის შესაბამისად (ტერენერს საგამოცდო და საკონსულტაციო საათები ცალკე არ აუნაზღაურდება) |
| პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი | <ul style="list-style-type: none"> ▪ სკოლამდელი აღზრდის საფეხურის აღმზრდელები ▪ სკოლის პედაგოგები; ▪ სკოლის ფსიქოლოგები; ▪ სკოლის სპეც. მასწავლებლები; ▪ მულტიდისციპლინური გუნდის წევრები; ▪ უსდ-ების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთაც სურვილი აქვთ შეისწავლონ ინკლუზიური განათლების პრინციპები ბავშვებში; ▪ ინკლუზიური განათლებით დაინტერესებული შშმ და სსსმ მოსწავლეთა მშობლები. |

| პროგრამაში ჩართვის წინაპირობა | პროგრამის საფასურის გადახდა |
|-----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ტრენინგზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა | მაქსიმუმ 20 მსმენელი, მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებისამებრ, ოღონდ პროგრამაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. |
| მონაწილეთა შეფასების სისტემა: | <p>ტრენინგის მონაწილე ფასდება 100 ქულიანი სისტემით</p> <p>შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:</p> <p>ა) ტრენინგზე დასწრება –10 ქულა</p> <p>ბ) ტრენინგზე აქტიურობა – 60 ქულა</p> <p>გ) ისგ პრეზენტაცია - 30</p> <p>ტრენინგზე დასწრება –10 ქულა</p> <p>ტრენინგზე აქტიურობა–60 ქულა, რომლის დაგროვებაც მსმენელს შეეძლება ტრენინგზე ინდივიდუალურად, ჯგუფურ მუშაობასა და დისკუსია-დებატებში აქტიური მონაწილეობით. შეფასებისას ყურადღება გამახვილდება ტრენინგზე დამუშავებული მასალის ცოდნა-გამოყენებაზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნაზე, კონკრეტულ სიტუაციებში პრობლემის სწორად და გასაგებად განსაზღვრაზე, მისი გადაჭრის ეფექტური გზების მოძიებაზე და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების უნარზე.</p> <p>მსმენელებმა თითო ბლოკში უნდა მოაგროვოს მაქსიმუმ 10 ქულა.</p> <p>მსმენელი, რომელიც დააგროვებს 50 ქულას და ნაკლებს, ვერ მიიღებს სერთიფიკატს.</p> <p>მსმენელი, რომელიც დააგროვებს 51 ქულას და მეტს მიიღებს მოდულის გავლის სერთიფიკატს.</p> |
| პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი: | <p>პროგრამის განხორციელების პერიოდში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროგრამის ხელმძღვანელისა და მწვრთნელების მიერ ხდება ტრენინგების შეფასება, მონიტორინგი, მსმენელთა მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის შინაარსობლივი დახვეწისათვის.</p> <p>მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგების უზრუნველყოფა მწვრთნელებისათვის.</p> |
| სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: | <p>მოდულის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წინაპირობაა კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. სერტიფიკატის ფორმას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51 ქულის დაგროვება</p> |

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი | სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვას აწარმოებს რსუ-ს განათლების ფაკულტეტზე მოქმედი პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით; სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესს ამტკიცებს რსუ-ს აკადემიური საბჭო მასში შემუშავებულია აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელიც მოიცავს ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ, როდის, რა ხანგრძლივობით, რა პროგრამა გაიარა, კრედიტების რა რაოდენობა მიენიჭა. სერტიფიკატის ნომერი იძლევა მისი ნამდვილობის ადვილად გადამოწმების საშუალებას. |
| პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა | <ul style="list-style-type: none"> ▪ გული შერვაშიძე - ბსუ პროფესორი ▪ ლელა თავდგირიძე - ბსუ პროფესორი, ტრენერი ▪ ნანა მაკარაძე - ბსუ ასოცირებული პროფესორი, ტრენერი ▪ მარინე გურგენიძე - ბსუ ასისტენტ პროფესორი ▪ ნანა მამულაძე - ბსუ ასისტენტ პროფესორი ▪ ნატო შეროზია - ბსუ ასისტენტ პროფესორი ▪ დარეჯან გელაძე - ბსუ ასისტენტ პროფესორი ▪ ბესიკ ციციავი - ბსუ ასისტენტ პროფესორი <p>(შენიშვნა - შესაძლებელია სხვა მწვრთნელების მოწვევაც)</p> |
| წლიური რეგიონული დაფარვა და გამტარიანობა | აჭარისა და გურიის რეგიონები. არ არის შეზღუდული მსურველთა სხვა რეგიონებიდან მიღებაც |
| პროგრამის გავლის საფასური | ერთი კრედიტის (15 საკონტაქტო საათი) საფასურია 45 ლარი. შესაბამისად, ვინაიდან პროგრამა ორკრედიტიანია (30 საკონტაქტო საათი), მისი საფასურია 90 ლარი. |
| ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ | ბსუ პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს ბიბლიოთეკით, კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, სათანადო ტექნიკური საშუალებებით და დამხმარე მასალებით (ჰენდაუტები) |